

სათაური: *Histoire des Croisades Abregée de la Jeunesse*

ავტორები: **J. Michaud, J. Poujoulat**

გამომცემლობა: **Alfred Mame et Fils**

გამოცემის წელი: **1899**

Michaud J., Poujoulat J. Histoire des Croisades Abregée de la Jeunesse. Tours: Alfred Mame et Fils, MDCCCXCIX [1899]



ჟოზეფ-ფრანსუა მიშო (1767-1839 წწ.), ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი და გაზეთ *La Quotidienne*-ის რედაქტორი, საპატიო ლეგიონის ორდენის მფლობელი, როიალისტი, სამჯერ იყო დაპატიმრებული 1791-1800 წწ. და სიკვდილს ძლივს გადაურჩა, რის შემდეგაც თავი დაანება პუბლიცისტობას და გამოკვლევებს მიუბრუნდა. განსახილველი წიგნი მის მეორე ნაშრომს წარმოადგენს. თავისი


თავდაპირველი, სრული სახით იგი გამოქვეყნდა 7 ტომად 1811-1822 წწ. 1820 წელს მიშომ მიიწვია ჟან პუჟულა ამ წიგნზე რედაქტორულ სამუშაოში დასახმარებლად. 1830-1831 წლებში მათ ჯვაროსანთა ისტორიის შესახებ დამატებითი მასალის შესაგროვებლად იმოგზაურეს საბერძნეთში, კონსტანტინოპოლში, იერუსალიმსა და ეგვიპტეში.

ჟან-ჟოზეფ-ფრანსუა პუჟულა (1808-1880) იყო ისტორიკოსი, ჟურნალისტი და მგზნებარე როიალისტი. გარდა განსახილველი წიგნისა,

პუჟულას გამოცემული აქვს რელიგიურ-ფილოსოფიური გამოკვლევა *იერუსალიმის ისტორია* (1840-1842 წწ.), რომელმაც საფრანგეთის აკადემიის ქება დაიმსახურა, წმ. ავეუსტინეს *ისტორია* (1844 წ.) და მრავალი სხვა ნაშრომი.

განსახილველი გამოკვლევა წარმოადგენს *ჯვაროსანთა ისტორიის* ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ შეკვეცილ ვარიანტს, რომლის პირველი გამოცემაც განხორციელდა 1838 წ. მას ერთვის პუჟულას მეტად გულთბილი, მიშოს მიმართ მაღლიერებით აღსავსე წინასიტყვაობა, რომელიც განსახილველ წიგნშიც არის დაცული. საკუთრივ გამოკვლევა მოიცავს იერუსალიმში მომლოცველობის დაწყების ხანიდან XVIII ს-მდე პერიოდს და ეხება ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგებსა და გავლენას. წიგნში მეტად საინტერესოდ არის მოთხრობილი ისეთ ცნობილ პირთა შესახებ, როგორც იყვნენ გოლფრუა დე ბუიონი, ტანკრედ დე ოტვილი, ბოდუენ I, II, III, რიჩარდ ლომგული, რაიმონ ტულუზელი, იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენი, ლუი IX წმინდა, რობერ ფლანდრიელი, რობერ დე კლარი, მამლუქები, სალადინი, მუჰამედ II, ბაიაზიდ I, და აღწერილია მათი ბრძოლები და მათთან დაკავშირებული მოვლენები.

წიგნის გარეკანის კუთხეებს ამშვენებს იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშები. *კ.ჯ.*



ურბან II მოუწოდებს ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებას.



სათაური: **დავითნი**
გამოცემის წელი: **1862**

დავითნი. მოსკოვი, კტო/ჩყდბ
[7370/1862]



ნუსხა-ხუცური დამწერლობით შესრულებული ეს გამოცემა იწყება მიძღვნილი ხასიათის შესავალი ნაწილით: “სადიდებელად წმიდისა თანაარსისა, ცხოველს მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, ბრძანებითა უკეთილ-მსახურესისა და უთუთ-მპყრობელესისა დიდისა ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისა ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა”. გამოცემას სათაური დაერთვის არა ყდაზე, ან წიგნის დასაწყისში (მას სატიტულო ფურცელი არ ახლავს), არამედ შესავლის დასასრულს, სადაც

აღნიშნულია, რომ “წიგნი ესე დავითნი” დაბეჭდილია მეოთხედ, სინოდის კურთხევით, ქ. მოსკოვში. წიგნის ავანტიტულსა და კონტრტიტულზე გვხვდება მხედრული მინაწერები, რომელთა თანახმად “ეს დავითნი ეკუთვნის ივანე გიორგის ძე ჯავახიშვილსა, 1862 წ.”, “დავითნი ესე ეკუთვნის ვანო ჯავახიშვილსა”.

წიგნი პირობითად სამ ნაწილად არის დაყოფილი. საკუთრივ დავითის ფსალმუნებამდე გამოცემაში წარმოდგენილია ფსალმუნთა მნიშვნელობის შესახებ გამოთქმული მოკლე ამონარიდები ბასილი კესარიელის, ნეტარი ავგუსტინეს, ათანასი ალექსანდრიელის, ანასტასი ანტიოქიელის, კირილე ალექსანდრიელის და მაქსიმე აღმსარებლის შრომათაგან. ამას მოსდევს წლის განმავლობაში ფსალმუნთა საკითხავებთან დაკავშირებული მითითებანი: “ტიბიკონი დავითნისა, თუ ვითარ ჯერ არს კითხვა სრულიად წელიწადსა შინა ახალ კვირიაკიდგან, რომელ არს თომასი ვიდრე წარგზავნადმდე პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვრისა უფლისა”, “ტიბიკონი ფსალმუნთათვის, თუ ვითარ იკითხების დავითნი წმიდათა დიდთა მარხვათა შინა, **ტ, ღ, ლ, ძ, ნ, შ** და “განაჩენი ფსალმუნთა, თუ ვითარ იკითხების დავითნი წმიდისა დიდისა მარხვისა **7** კვირიაკესა შვიდეულსა შინა”.

მეორე ნაწილში მოცემულია ფსალმუნთა და გალობათა ძველი ქართული თარგმანები. თითოეულ ფსალმუნს სათაურად უძღვის “ფსალმუნი დავითისი”, რომელსაც მოსდევს ფსალმუნის შესაბამისი რიცხობრივი სათვალავი. არაერთ შემთხვევაში რიცხობრივ სათვალავთან სათაურის ნაცვლად ჩაწერილია “ალლილუია”.

მესამე ნაწილში დაცულია ამა თუ იმ დღეს აღსავლენი გამოკრებული ფსალმუნები. გამოცემას ასრულებს გარდაცვალებულთა მოსახსენებელი, ცოცხალთა საოხად სათქმელი, და სხვა ლოცვები, ასევე, თორმეტი ფსალმუნის კითხვის წესი. *კ.ჯ.*





სათაური: *Tà Σαζόμενα*
 [შემორჩენილი ნაშრომები]
 ავტორი: Ἄριστοτέλης [არისტოტელე]
 გამომცემლობა: Apud Guillelmum
 Laemarium
 გამოცემის წელი: 1590



Ἄριστοτέλης τῶν Σταγειρίτου *Tà Σαζόμενα*.
 Operum Aristotelis Stagiritae philosophorum omnium
 longe principis, nova editio, Graece&Latine. Graecus
 contextus quam emendatissime praeter omnes
 omnium editiones est editus: adscriptis ad oram,
 libri&interpretum veterum recentiorumque, & aliorum
 doctorum virorum emendationibus: in quibus plurimae
 nunc primum in lucem prodeunt, ex bibliotheca
 Isaaci Casauboni. Lugduni: Apud Guillelmum
 Laemarium, MDXC [1590]

გამოცემა წარმოადგენს ერთ წიგნად აკინძულ ორტომეულს (755 და 595 გვ.), რომელშიც დაცულია არისტოტელეს შრომათა სრული კრებული. მასში არისტოტელეს ტექსტები დედნისეულ, ბერძნულ ენაზე არის დაბეჭდილი და მოცემულია მათი პარალელური ლათინური თარგმანიც, რომელთა ნაწილი ეყრდნობა უკვე არსებულ თარგმანებს, ნაწილი კი ახლიდან არის გადმოღებული. პირველ ტომს ერთვის გამომცემლის, ისააკ კაზობონის წინასიტყვაობა და დიოგენე ლაერტელის, ამონიოსის, დიონისე ჰალიკარნასელის, სტრაბონისა და პლუტარქეს ცნობები არისტოტელეს შესახებ. ტომის დასასრულს, არისტოტელეს შრომათა შემდეგ, მოცემულია გეორგიოს პაქიმერესის განმარტებები არისტოტელეს ნაშრომზე *De Lineis Insecabilibus*. რაც შეეხება მეორე ტომს, მასში საკუთრივ შრომათა გარდა

წარმოდგენილია არისტოტელეს დაკარგული თხზულებების შემორჩენილი ფრაგმენტები. მას დაერთვის ასევე ავტორთა, ტექსტის მთარგმნელთა და იკითხვისების საძიებლები. ორივე ტომის აშიებზე განთავსებულია იკითხვისები და არისტოტელეს სხვა შრომათა მითითებანი.

გამოცემის ორივე ტომზე ფანქრითა და კალმით უმუშავია უცნობ მკვლევარს და თავისი შენიშვნები ლათინურად მიუწერია აშიებზე. ისე, რომ არა მხოლოდ გამოცემა რარიტეტული, არამედ მისი მინაწერებიც.

მსოფლიოს ბიბლიოთეკათა ელექტრონული კატალოგების მიხედვით, მსოფლიოში ამ გამოცემის სულ რამდენიმე ცალიდაა შემორჩენილი.

ტექსტის გამომცემელი, ისააკ კაზობონი (Isaac Casaubon, 1559-1614) თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი და ღვთისმეტყველი იყო, რომელსაც თანამედროვეები ევროპის ყველაზე განათლებულ ადამიანად მიიჩნევდნენ. სარწმუნოებრივი დევნის გამო მისმა ჰუგენოტური რწმენის მიმდევარმა ოჯახმა საფრანგეთი დატოვა. კაზობონს სხვა განათლება არ ჰქონია, გარდა იმისა, რაც მან მამისაგან მიიღო. 19 წლის ასაკში იგი შევიდა ჟენევის აკადემიაში, სადაც სრულყო თავისი ბერძნული და 22 წლისა ბერძნული ენის პროფესორი გახდა. 1596 წლიდან იგი ოჯახთან ერთად გამოემართა საფრანგეთისაკენ და აქ ატარებდა ლექციებს. ანრი IV ბურბონის გარდაცვალების შემდეგ, დაახლ. 1610 წ., იაკობ I-ის მიწვევით კაზობონი ინგლისში გადასახლდა. არისტოტელეს განსახილველი წიგნის გამოცემამდე მას უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული დიოგენე ლაერტელის (1583), სტრაბონის (1587), დიონისე ჰალიკარნასელის (1588) ნაშრომები და ახალი აღთქმის წიგნების (1587) ბერძნულენოვანი გამოცემები. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები ბერძნული და რომაული სატირის (*De satyrica Graecorum poesi et Romanorum satira*, 1605), ეკლესიის თავისუფლებისა (*De libertate ecclesiastica*, 1607) და სხვადასხვა საეკლესიო საკითხთა შესახებ (*De rebus sacris et ecclesiasticis. Exercitationes ad Baronii prolegomena in annals*, 1614). ამ უკანასკნელში კაზობონმა უსაფუძვლოდ მიიჩნია რენესანსის პერიოდის ნეოპლატონიკოსთა (ჯ. ბრუნო) წარმოდგენები ჰერმეტიკულ ტრაქტატთა სიძველესთან დაკავშირებით.

კაზობონი დაკრძალულია ვესტმინსტერის სააბატოს პოეტთა კუთხეში. 33.

სათაური: *Encyclopédie, ou Dictionnaire Raisonné des Sciences, des Arts et des Métiers*

[“მეცნიერებათა, ხელოვნებათა და ხელობათა ენციკლოპედია ანუ ლექსიკონი”]

გამომცემლები: **Denis Diderot; Jean-Baptiste le Rond d'Alembert** [დენი

დიდრო, ჟ. ლე რონ დ'ალამბერი]

გამომცემლობა: **Jean-Léonard Pellet, Imprimeur de la République; La Société Typographique**

გამოცემის ადგილი: **Geneva, Neuchâtel**

გამოცემის წელი: **1778**

Encyclopédie, ou Dictionnaire Raisonné des Sciences, des Arts et des Métiers. 3-ème ed. T. III. Geneva, Neuchâtel: Jean-Léonard Pellet, Imprimeur de la République; La Société Typographique, MDCCLXXVIII [1778]

ეს ერთ-ერთი უდიდესი საცნობარო გამოცემა წარმოადგენს პირველ ფრანგულ ენციკლოპედიას. იგი თავდაპირველი სახით გამოიცა 1751-1780 წლებში 35 ტომად. მიუხედავად იმისა, რომ ენციკლოპედიას ადანაშაულებდნენ იმაში, თითქოს იგი ზიანს აყენებდა რელიგიასა და საზოგადოებრივ მორალს, რადგან რელიგიას მიჩნევდა ფილოსოფიის განშტოებად და საკამათოს ხდიდა კათოლიკურ დოგმატებს, ამის გამო კი მისი გამოცემა არაერთხელ შეჩერდა, ამ მრავალტომეულს მფარველებიც გამოუჩნდნენ, მით უფრო, რომ იგი წარმოადგენდა ცნობარს და იმ დროისათვის არსებული ყველა ტექნოლოგიის მოკლე სახელმძღვანელოს




და აღწერდა შრომის იარაღებსა და მათ გამოყენებას. გამოცემის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ ენციკლოპედიას საფრანგეთის რევოლუციის ინტელექტუალურ ფონად მიიჩნევენ, ხოლო მის წინასიტყვაობას – განმანათლებლობის იდეების მანიფესტად. შესაბამისად, ენციკლოპედიამ გამოქვეყნებისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა, და ჯერ კიდევ დაუსრულებელი მრავალტომეულის რამდენიმე ხელახალი გამოცემა განხორციელდა. ასე მაგალითად, განსახილველი წიგნი მისი მესამე გამოცემის III ტომს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ენციკლოპედიის გავლენით დაიწყო 1772 წელს ცნობილი “Britannica”-ს გამოცემა.

ენციკლოპედიის რედაქტორები იყვნენ მატერიალისტი და ათეისტი, “მეომარი ბურჟუაზიის იდეოლოგი” დენი დიდრო (1713-1784 წწ.), და ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, ჟან ლე რონ დ'ალამბერი (1717-1783 წწ.). დ'ალამბერი ენციკლოპედიის გარდა ცნობილია თავისი მიღწევებით მათემატიკაში: მან ჩამოაყალიბა ნებისმიერი მატერიალური სისტემის მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებათა შედგენის ზოგადი წესი (დ'ალამბერის წესი). მასვე ეკუთვნის მწკრივის კრებადობის პირობა, ალგებრის ძირითადი თეორემის პირველი დამტკიცება, პლანეტების მოძრაობის შემფოთების თეორია. იგი იყო ერთ-ერთი, ვისმა სწავლებამაც მათემატიკურ ფიზიკას ჩაუყარა საფუძველი. გარდა ამისა, ცნობილია დ'ალამბერის ისეთი შრომები, როგორიცაა “ფილოსოფიის ელემენტები” (1759), “დ'ალამბერისა და დიდროს საუბარი” (1769) და ა.შ.

ენციკლოპედია დაცული იყო იმპერატორ ალექსანდრე I-ის გამანაზიში. შ.მ., ვ.ჯ.






სათაური: *Nouvelle Géographie Universelle. La Terre et les Hommes*
 [“ახალი უნივერსალური გეოგრაფია. დელამიწა და ადამიანი”]
 ავტორი: **Jacques Elisée Reclus.**
 გამომცემლობა: **Librairie Hachette et Cie**
 გამოცემის წელი: **1875**

Jacques Elisée Reclus. *Nouvelle Géographie Universelle. La Terre et les Hommes. Vol. VIII. Paris: Librairie Hachette et Cie, 1875*

წიგნის ავტორმა და ცნობილმა ფრანგმა მკვლევარმა, ჟაკ ელისე რეკლიუმ (1830-1905 წწ.), ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაიწყო დელამიწის გეოგრაფიის აღწერა და ამ მიზნით იმოგზაურა თითქმის მთელს მსოფლიოში, ევროპასა და ამერიკაში, აფრიკასა და აზიის უკიდურეს ადგილებში. ამასთანავე, იგი გამოსცემდა თითოეული ამ ქვეყნის აღწერილობასაც. მისი *ახალი უნივერსალური გეოგრაფია. დელამიწა და ადამიანი* შედგება 19 ტომისაგან, რომლებიც რეკლიუს 1873-1893 წლებში დაუწერია, ხოლო თითოეული ტომი დაახლოებით ცხრაასგვერდიან ნაშრომს წარმოადგენს. 1892 წელს პარიზის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, მიუხედავად იმისა, რომ რეკლიუ ადრე განდევნილი იყო საფრანგეთიდან ანარქისტული პოლიტიკური შეხედულებების გამო, გაწეული შრომისათვის იგი პრესტიჟული ოქროს მედლით დააჯილდოვა.

განსახილველი ნაშრომი წარმოადგენს ამ მრავალტომეულის VIII ტომს. მასში მკვლევარი აღწერს ინდოეთსა და ინდოჩინეთს. აქ მოცემულია ამ ქვეყნების ბუნებისა და კლიმატის, მთებისა და ხეობების, მდინარეებისა და ქალაქების აღწერილობა, მითითებულია მატერიალური და მორალური სტატისტიკური მონაცემები და მოთხრობილია ინდოეთის მთავრობისა და ადმინისტრაციის შესახებ.

ნაშრომი ილუსტრირებულია სამასზე მეტი ხეზე შესრულებული გრავიურის ფოტოასლითა და ფერადი და შავ-თეთრი რუკით. ვ.ჯ.





სათაური: *Histoire de Photius, Patriarche de Constantinople* [“ფოტიუსის, კონსტანტინოპოლის პატრიარქის ისტორია”]

ავტორი: Jean Nicolas Jager

[ჟან ნიკოლა ჟაგერი]

გამომცემლობა: Aug. Vatou, Libraire-éditeur

გამოცემის წელი: 1845

Histoire de Photius, Patriarche de Constantinople, auteur du Schisme des Grecs, d'après les monuments originaux, la plupart encore inconnus, accompagnée d'une introduction, de Notes historiques et de Pièces justificatives par M. L'abbé Jager, chanoine honoraire de Paris et de Nancy, professeur d'histoire à la Sorbonne. Deuxième édition. Paris: Aug. Vatou, Libraire-éditeur, 46 rue du Bac, 1845

გამოცემაში მოთხრობილია შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანის, ფოტიოს I კონსტანტინოპოლის პატრიარქის (820-896 წწ.), ბიზანტიელი ღვთისმეტყველისა და ეკლესიის მამის ცხოვრების შესახებ. დოგმატურ ღვთისმეტყველებაში ფოტიოსი ცნობილია იმით, რომ მან პირველმა დაადასტურა რომაელი პაპები მწვალებლობაში სარწმუნოების სიმბოლოსათვის *filioque*-ს (“და ძისაგან”) დამატების გამო და მოიწვია კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრება (867 წ.), რომელზეც ანათემას გადასცა რომის პაპი ნიკოლოზ I. ეს პერიოდი ცნობილია *ფოტიოსის სქიზმის* სახელწოდებით. განსახილველ გამოცემაში ამ განხეთქილებას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. წიგნში საინტერესოდ არის გადმოცემული ფოტიოსის პერიოდის კონსტანტინოპოლის სამეფო კარისა და იმპერატორთა შესახებ, ასევე, ამ უკანასკნელთა მიერ ფოტიოსის პატრიარქობიდან ორგზისი გადაყენების, მონასტერში შემწყვდევის, გადასახლებისა და გადასახლებაში ფოტიოსის გარდაცვალების შესახებ. წიგნის ავტორი განიხილავს ფოტიოსის შემოქმედებასაც. ფოტიოსის სხვა შრომებთან ერთად იგი ყურადღებას უთმობს მის ყველაზე ცნობილ თხზულებას, *ძირობიბლიონს* ანუ *ბიბლიოთეკას*, ვრცელ წერილს ძმის მი-


მართ, რომელიც ფოტიოსს IX ს-ის შუა ხანებში არაბ ხალიფასთან ელჩად გამგზავრებამდე დაუწერია. *ბიბლიოთეკაში* გადმოცემულია ფოტიოსის მიერ წაკითხული 280 წიგნის მეტნაკლებად დაწვრილებითი შინაარსი. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნების ნაწილი დაკარგულია და მათი სათაურები და აღწერილობა მხოლოდ *ბიბლიოთეკაში* არის შემორჩენილი. ასე მაგალითად, ფოტიოსთან მოცემულია აღწერილობა VI ს-ის ისტორიკოსის, თეოფანე ბიზანტიელის *ისტორიისა*, რომელიც ჩვენამდე მოღწეული არ არის, ხოლო თავად ეს ისტორიკოსი (და შესაბამისად, ფოტიოსიც) პირველი უცხოელი მწერალია, რომელიც თბილისს საქართველოს დედაქალაქად მოიხსენიებს. საკუთრივ ამბავი, რომელსაც იგი გადმოსცემს, დაახლოებით 523 წელს მოხდა: “ამის შემდეგ მყისვე აჯანყდნენ იბერიელები და თავიანთ მეფე გურგენთან ერთად გადავიდნენ რომაელთა მხარეს. ამ დროს იბერიის დედაქალაქი იყო თბილისი” (კოდ. 64).

გამოცემას ერთვის ვრცელი წინასიტყვაობა, შენიშვნები და ბერძნულ დედანში დაბეჭდილი, როგორც ავტორი მოიხსენიებს, “მამტკიცებელი საბუთები” (“*pièces justificatives*”), კერძოდ, ფოტიოსის სამი წერილი, ორი ნიკოლოზ I-ის, ერთი კი აკვილეს პატრიარქის მიმართ.

ეს ნაშრომი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მისი ხელახალი გამოცემა არაერთხელ განხორციელდა – განსახილველი წიგნი წარმოადგენს მეორე გამოცემას (პირველი გამოქვეყნდა 1844 წ.), უკანასკნელი კი დაიბეჭდა შვიდი წლის წინ, 2005 წელს.

გამოცემა აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი ინახებოდა სახელგანთქმული რუსი ბიზანტინისტი ალექსეი ლებედევის (1845-1908) პირად კოლექციაში, რომლის გარდაცვალების შემდეგ მის ქვრივს ბიზანტინისტ ნათელა კეჭაყმაძის თხოვნით გადაუცია იგი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისათვის თავისი წიგნადი ფონდის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად, თბილისში კი იგი ჩამოუტანია ცნობილ ბიზანტინისტს, ნელი მახარაძეს.

წიგნის ავტორი, მღვდელი ჟან ნიკოლა ჟაგერი (Jean Nicolas Jager, 1790-1868 წწ.), ღვთისმეტყველი და ელინისტი, იყო სორბონის უნივერსიტეტის ეკლესიის ისტორიის პროფესორი, პარიზისა და ნანსის საპატიო კანონიკოსი. მის კალამს ეკუთვნის სხვა გამოცემებიც, კერძოდ, *საფრანგეთის ეკლესიის ისტორია რევოლუციის ხანებში*, *პაპ გრიგოლ VII-ისა და მისი საუკუნის ისტორია*, *ძველი აღთქმა*, და ა.შ. მის შესახებ შემორჩენილი ცნობები მეტად მწირია. ვ.ჭ.



სათაური: *Histoire des Chevaliers Hospitaliers de S. Jean de Jerusalem*

[“ჰოსპიტალიერ რაინდთა ისტორია”]

ავტორი: **Abbé [René d’Aubert] de Vertot [d’Auboeuf]**

[აბატი რენე დ’ობერ დე ვერტო დ’ებუფი]

გამომცემლობა: **Alfred Mame et Fils**

გამოცემის წელი: 1732



Abbé [René d’Aubert] de Vertot [d’Auboeuf]. *Histoire des Chevaliers Hospitaliers de S. Jean de Jerusalem, Appellez Depuis “Chevaliers de Rhodes”, et Aujourd’hui “Chevaliers de Malthe”*. T. I. Amsterdam: Wetsteins&Smith, MDCCXXXII [1732]

ჰოსპიტალიერების (იოანიტების) ორდენი უძველესია შუა საუკუნეებში ცნობილი 12 ორდენიდან. იგი იერუსალიმის ქრისტიანებისათვის დაბრუნებაში დახმარების გაწევის მიზნით დაარსდა იერუსალიმის

ერთ-ერთ ლაზარეთში (1070 წ.) პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წინ და პირველ დასავლურ ჯარად იქცა იერუსალიმში. ორდენმა საკუთარ თავზე აიღო მომლოცველებზე ზრუნვა და, ასევე, ავადმყოფთა უანგარო მოვლა. 1291 წელს, როდესაც ციხესიმაგრე აკრა დაეცა, ორდენი იძულებული გახდა ჯერ კვიპროსზე, შემდეგ კი როდოსზე გადასახლებულიყო, საიდანაც ის მაჰმადიანებმა განდევნეს 1523 წელს. 1530-1798 წლებში ჰოსპიტალიერები მალტაზე

ცხოვრობდნენ, ხოლო როდესაც მალტა ნაპოლეონმა დაიპყრო (1798 წ.), მათ რომში გადაინაცვლეს. ჰოსპიტალიერების ორდენმა შუა საუკუნეებისა და ზოგადად ჯვაროსანთა ლაშქრობების ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა და მაშინ, როდესაც სხვა ორდენები გაქრნენ, ეს ორდენი ახლაც მოქმედებს.

წიგნის ავტორი, რენე დე ვერტო (1655-1735 წწ.), თავისი დროის ძალზე ცნობილი ისტორიკოსი იყო. მას დაუწერია შრომები პორტუგალიის (1690 წ.), შვედეთის (1695 წ.), რუმინეთის რევოლუციების (1719 წ.) შესახებ და იმდენად დიდი სახელი მოუხვეჭია, რომ მალტის ორდენმა სთხოვა, დაეწერა შრომა მათი ისტორიის შესახებაც.

წიგნი წარმოადგენს ხუთტომეულის პირველ ტომს, მეორე, შევსებული გამოცემას (პირველი გამოცემა პარიზში 1726 წ.). მასში აღწერილია ჰოსპიტალიერთა ორდენის ჩამოყალიბება, ბრძოლები და მათი გადასახლებები ორდენის ერთი ცენტრიდან მეორეში, მოკლედ, მოცემულია ორდენის სრული ისტორია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. გამოკვლევას ერთვის ჰოსპიტალიერთა ჩამონათვალი, იარაღის აღწერილობა და რუკა, რომელზეც აღნიშნულია ის ქვეყნები, სადაც იოანიტებს ბრძოლა მოუხდათ. გამოკვლევა იმდენად პოპულარული იყო, რომ ორ წელიწადში (1728 წ.) ინგლისურად ითარგმნა, XVIII-XIX სს-ში კი მისი არაერთი გამოცემა განხორციელდა. ვ.ჯ.





სათაური: **القرآن** [ყურანი]
 ნელი: **დაახლ. XVII ს.**

განსახილველ ხელნაწერში დაცულია არაბულ ენაზე შესრულებული ყურანის მეტად ლამაზად გაფორმებული ტექსტი. გადამწერის ვინაობა და გადაწერის წელი ხელნაწერში მითითებული არ არის. მისი მიახლოებითი დათარიღება შესაძლებელია ხელნაწერისათვის დართული ერთ-ერთი მინაწერით, რომლის დასასრულსაც ფიქსირდება არაბული ჰიჯრის 1227 წ. (= 1812 წ.). მეორე მხრივ, მკვლევართა ვარაუდით, მისი გადაწერა მომხდარა უფრო ადრე და ხელნაწერი XVII ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს.



ხელნაწერი გადაწერილი ჩანს ჩრდილოეთ კავკასიაში, რაზეც მიუთითებენ წიგნში წარმოდგენილი დამახასიათებელი ნიშნები. *მურმან ქუთელია, ალექსი ჟორდანიას, მ.ს., ვ.ჯ.*





სათაური: *Kirchen-Postille. Predigten über die Episteln für alle Sonn- und vornehmsten Festtage des ganzen Jahres zur religiösen Erbauung in den Familien aller Stände*

[საეკლესიო ქადაგებები. ქადაგებები ახალი აღთქმის ეპისტოლეებზე, კვირადღეებისა და საეკლესიო წლის ძირითადი დღესასწაულების შესახებ, ყველა ფენის ოჯახის სარწმუნოებრივი დამოძღვრისათვის]


ავტორი: მარტინ ლუთერი

გამომცემლობა: **Verlag Christlicher Schriften Stottmeister & Co, Braunschweig**

გამოცემის ადგილი: დრეზდენი

გამოცემის წელი: 1888


Martin Luther. Kirchen-Postille. Predigten über die Episteln für alle Sonn- und vornehmsten Festtage des ganzen Jahres zur religiösen Erbauung in den Familien aller Stände. Dresden: Schoen & Krieger, 1888



მარტინ ლუთერის (1483-1546 წწ.), გერმანელი ბერისა და პროფესორის, ლუთისმეტყველისა და ეკლესიის რეფორმატორის მოძღვრებამ და ქადაგებებმა, განსაკუთრებით კი მისმა ბიბლიამ ძირეული ცვლილებები მოახდინა რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში, საფუძველი ჩაუყარა რეფორმაციას და შექმნა ქრისტიანული ეკლესიის განშტოება ლუთერანული ეკლესიის სახით.

ლუთერის *საეკლესიო ქადაგებები* თავდაპირველად დაიბეჭდა 1522 წელს და მას შემდეგ არაერთხელ გამოქვეყნდა. განსახილველი წიგნი წარმოადგენს 1562 წლის გამოცემის ფოტოტიპურ გამოცემას.

ნაშრომში თითო ქადაგება ეძღვნება წლის თითოეულ დღესასწაულს და თითოეულ კვირადღეს, ასე მაგალითად, შობის პირველი კვირადღე, სულთმოფენობიდან მეხუთე კვირადღე, სამების დღესასწაულიდან მეთოთხმეტე კვირადღე და ა.შ. *ლ.კ., ნ.ჩ., კ.ჭ.*





ავტორი: **Johan Thomas Haupt**

[იოჰან თომას ჰაუპტი]

სათაური: **Gründe der Vernunft zur Erläuterung und zum Beweise des Geheimnisses der heiligen Dreieinigkeit gesamlet und beurtheilet**

[წმინდა სამების საიდუმლოების რაციონალური ახსნის და დამტკიცების საფუძვლები]

გამომცემლობა: **Berger und Boedner.**

გამოცემის ადგილი:

Rostok, Wismar

გამოცემის წელი: **1752**

Johan Thomas Haupt. Gründe der Vernunft zur Erläuterung und zum Beweise des Geheimnisses der heiligen Dreieinigkeit gesamlet und beurtheilet. Rostok, Wismar: Berger und Boedner, 1752

გერმანელი მკვლევარი, იოჰან თომას ჰაუპტი, განსახილველ ნაშრომში ცდილობს, რაციონალური გზით და მათემატიკური ფორმულირებით დაამტკიცოს წმინდა სამების ერთიანობა. ამისათვის იგი იშველიებს სხვადასხვა ავტორთა მიერ სამების შესახებ გამოთქმულ განმარტებებსა და მტკიცებულებებს. ნაშრომი მოიცავს სამ ძირითად საკითხს და, შესაბამისად, სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველ

ნაწილში წარმოდგენილია იმ მასალის მიმოხილვა, სადაც წმინდა სამების განმარტება არაადეკვატურად ხდება. მეორე ნაწილში შეკრებილია სხვადასხვა სავარაუდო მტკიცებულებათა განხილვა. მესამე ნაწილი კი ეთმობა ყველა იმ, ავტორის აზრით, ჭეშმარიტ მტკიცებულებას, რომელიც წმინდა სამების არსს სწორად წარმოაჩენენ და მის მყოფობას ამტკიცებენ.

იოჰან ჰაუპტი ნაკლებად ცნობილი მკვლევარია. მას ამავე ხანებში კიდევ ორი ნაშრომი აქვს გამოცემული: *Die Herrlichkeit der Herrn in den Tempeln der Christen* (1749) და *Neue und vollständige Auslegung des von dem Stifter und rsten Kaiser des Chinesischen Reichs Fohi hinterlassene Buches Ye-Kim genant* (1753). ლ.კ. ვ.ჯ.





სათაური: ***Vie Militaire et Religieuse au Moyen Age et a l'Époque de la Renaissance***

ავტორი: **Paul Lacroix**

გამომცემლობა: **Librairie de Firmin Didot et C°**

გამოცემის წელი: **1873**

Lacroix, Paul. *Vie Militaire et Religieuse au Moyen Age et a l'Époque de la Renaissance.* Paris: Librairie de Firmin Didot et C°, 1873

გამოცემაში განხილულია შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის რელიგიური და სამხედრო ცხოვრება და მათთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ელემენტები. მკვლევარი ყურადღებას უთმობს რელიგიური იდეისა და სამხედრო შესაძლებლობათა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ქრისტიანული ქვეყნების ზნე-ჩვეულებებში და მკითხველის ყურადღებას ქრისტიანობის, როგორც ხალხთა გამაერთიანებლისა და განმანათლებლის როლისაკენ მიმართავს. წიგნში ფერადოვნად არის დახატული შუა საუკუნეების ცნობილი და უცნობი ფაქტები, სახელმწიფო მოღვაწეები და უბრალო ადამიანები, ჯვაროსნები, დიდგვაროვანი ბანოვანები, სასულიერო პირები, ახალი საზოგადოების შექმნის პროცესი, ბრძოლები, ომები, მეომრები, რაინდობის მაძიებელი და რაინდად კურთხევის წესები, სამხედრო კოდექსები და სტრატეგია, დუელი და ასპარეზობანი, წმინდა ადგილების მოძღვრება და პილიგრიმთა დამცველი და წმინდა ადგილებისათვის მეომარი სამხედრო-რელიგიური ორდენები, ლიტურგია და საეკლესიო ცერემონიები, ინკვიზიცია, დაკრძალვა და მასთან დაკავშირებული წესები. სამწუხაროდ, წიგნი არ შეიცავს ცნობებს ქართველთა როლის შესახებ ჯვაროსნულ ომებში.

გარდა იმისა, რომ გამოცემის ფურცელთა კიდეები მოქროვილია, იგი უხვდაც არის დასურათებული, რაც ამ პერიოდის გამოცემებში არცთუ იხეხშირია. მასში დაცულია 14 ქრომოლითოგრაფია და ხეზე ნაკვეთი 410 გრაფიურის ფოტო, რომლებზეც წარმოდგენილია შუა საუკუნეთა ფორტი-

ფიკაციული ნაგებობების ამსახველი სურათები, რაინდთა საომარი აღჭურვილობა და სხვადასხვაგვარი სიმბოლოები და რელიკვიები, სახელოვან ადამიანთა და მათ საფლავთა სურათები.

თავდაპირველი სახით განსახილველი წიგნი გამოიცა 1869 წელს. მას დიდი წარმატება ხვდა წილად, რამდენიმე წელიწადში ინგლისურადაც ითარგმნა და მას შემდეგ მისი არაერთი გამოცემა განხორციელდა, ამასთან, ერთ-ერთი უკანასკნელი – 1977 წელს.

წიგნის ავტორი, პოლ ლაკრუა (1806-1884 წწ.), ფრანგი ბიბლიოფილი, ბიბლიოთეკარი, ისტორიკოსი, კომედიოგრაფი, ჟურნალისტი და ლიტერატორი, მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივი მკვლევარი იყო, რომლის კალამსაც ოცამდე ისტორიული რომანი და მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული გამოკვლევა ეკუთვნის, მათ შორის, ნაპოლეონ III-ის და რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შესახებ. გამოკვლევამ VI ს-ის ისტორიის შესახებ, რომელიც ლაკრუამ 28 წლის ასაკში გამოსცა, ავტორს საპატიო ლეგიონის ჯვარი მოუტანა. მას გამოცემული აქვს, ასევე, დასურათებული გამოკვლევა შუა საუკუნეთა და რენესანსის ეპოქის ზნე-ჩვეულებათა და სამოსელის (1847 წ.), ბანქოს წარმოშობის (1835), პროსტიტუციის ისტორიის (1853, პოლ დიუფურის ფსევდონიმით), საფრანგეთის ისტორიული სამოსელის შესახებ (1852) და მრავალი სხვა. კ.ჯ.



სათაური: **რასუ აილ ,იჲი რჩიჲ რძხიჲი რჩხა** [წიგნი ახალი აღთქმისა, უფალი იესო მაცხოვრისა]

გამომცემლობა: **რჩორი რაილხა რჯთიჲ რასუთა** [ამერიკის ბიბლიის საზოგადოების გამომცემლობა]

გამოცემის წელი: 1875

. **რასუ აილ ,იჲი რჩიჲ რძხიჲი რჩხა**

1875, **რჩორი რაილხა რჯთიჲ რასუთა** : Ⴃႃႉ

[წიგნი ახალი აღთქმისა, უფალი იესო მაცხოვრისა. ნიუ-იორკი: ამერიკის ბიბლიის საზოგადოების გამომცემლობა, 1875]


სირიულ ენაზე შესრულებული ახალი აღთქმა, პეშიტა, აღმოსავლეთის ეკლესიაში ითვლება ერთადერთ ავთენტურ და წმინდა ტექსტად, რომელიც დაწერილი იყო არამეულ, მაცხოვრისა და მის მოსწავლე მოციქულთა მშობლიურ ენაზე. აღმოსავლეთის კათოლიკოს-პატრიარქის, მარ ეშაი შიმუნის მიხედვით, “აღმოსავლეთის ეკლესიამ თავად ნეტარი მოციქულების ხელთაგან მიიღო წმინდა


წერილი, დაწერილი არამეულად, ენაზე, რომელზეც მეტყველებდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე მაცხოვარი. პეშიტა არის აღმოსავლეთის ეკლესიის ტექსტი, რომელმაც მოაღწია ბიბლიური დროიდან ჩვენამდე ყოველგვარი ცვლილებებისა და შესწორების გარეშე” (5 აპრილი, 1957 წ.). ამ მოსაზრების მომხრეთა თვალსაზრისით, ახალი აღთქმა თავდაპირველად დაიწერა არამეულ ენაზე და შემდეგ ითარგმნა ბერძნულად პირველი საუკუნის დასავლელ ქრისტიანთა მიერ.



არამეულ ენაზე დაწერილ უადრეს ახალ აღთქმას აკლია 2 პეტრეს, 2-3 იოანეს, იუდასა და აპოკალიფსის წიგნები, ასევე კათოლიკე ეპისტოლეები. ისინი შემდგომ, დაახლ. V ს-სთვის ითარგმნა სირიულად და ძველ აღთქმასთან ერთად შეუერთდა უკვე არსებულ კრებულს, რომელიც ამის შემდეგ გამოიყენებოდა, როგორც წმინდა წერილის ეროვნული ვარიანტი. პეშიტას ახალი აღთქმის თარგმანი ზედმიწევნითი და სანდოა, უბრალო და ზუსტი.

განსახილველი გამოცემა შეიცავს ახალ აღთქმას სირიულ ენაზე თავისი სრული სახით, მათეს სახარებიდან აპოკალიფსის წიგნის ჩათვლით. *დარეჯან სვანი, ვ.ჯ.*





წიგნის სათაური: **Lexicon Rationale sive Thesaurus Philosophicus**

[“გონებაჭვრეტითი ლექსიკონი, ანუ ფილოსოფიის საგანბური, დალაგებული ანბანურ რიგზე”].

შემდგენელი: **Stephanus Chauvin** [ეტიენ შოვენი].

გამომცემლობა: **Petrus vander Slaart**.


გამოცემის წელი: **1692**.

Lexicon Rationale sive Thesaurus Philosophicus, ordine alphabetico digestus, in quo vocabula omnia philosophica, variasque illorum acceptiones, juxta cum veterum, tum recentiorum placita, explicare; & universe quae lumine naturali sciri possunt, non tam concludere, quam recludere conatur. Ed. Stephanus Chauvin. Rotterodam: Apud Petrum vander Slaart bibliopolam, ad insigne Ciceronis, cum privilegio. MDCXCII [1692].

განსახილველი ლექსიკონი ამ ნაშრომის პირველ გამოცემას წარმოადგენს. იგი ითვლება ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო ენციკლოპედიად და მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც, თავისი დროის სხვა ენციკლოპედიებისაგან განსხვავებით, ეს გამოცემა დიდ ყურადღებას უთმობს ექსპერიმენტულ მეცნიერებას და მეტად მცირეს – მაგიას. შოვენის სახელს უკავშირდება ტერმინ “ონტოსოფია”-ს (“ontosophia”) შემოტანა, რომელიც განსახილველ ლექსიკონში

ცალკე ერთეულად არის დაფიქსირებული. ლექსიკონს ბოლოში ერთვის 30 ჩანართი სხვადასხვა მოწყობილობათა და ბუნების ფენომენტთა ამსახველი გრაფიკული გამოსახულებებით. გამოცემამ დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო საუკუნეების ფილოსოფიურ აზროვნებაზე. მისი ახალი, განვრცობილი რედაქცია გამოქვეყნდა ოციოდე წლის შემდეგ, 1713 წელს.

ლექსიკონის გამომცემელი, ეტიენ შოვენი (1640-1725 წწ.), იყო პროტესტანტი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ მან თავი ჰოლანდიას შეაფარა და რამდენიმე წლის განმავლობაში როტერდამის ფრანგულ ტაძარში მსახურობდა. აქვე დაიკავა მან ფილოსოფიის კათედრა (1688 წ.). მოგვიანებით, იგი მიიწვიეს ბრანდებურგში მღვდლად და ფილოსოფიის პროფესორად (1695 წ.). გარდა ამისა, იგი მსახურობდა ბერლინის ფრანგული კოლეჯის ინსპექტორადაც, სადაც მას კარტეზიანელის სახელიც გაუვარდა. მას ეკუთვნის სხვა ნაშრომებიც: *Theses de Cognitione Dei* (1662), *Exercitatio Ethica de Actione Humana* (1700) და სხვ. *თ.ო., ვ.ჯ.*






სათაური:
'H Palaiá Diathíkhē katá tous 'Eβδομήκοντα [ძველი ალთქმა]
 ავტორი: [გამომცემელი: **David Millius**]
 გამომცემლობა: **Sumptibus Societatis**
 გამოცემის წელი: **1725**


'H Palaiá Diathíkhē katá tous 'Eβδομήκοντα. Vetus testamentum ex versione Septuaginta interpretum, secundum exemplar Vaticanum Romae editum, denuo recognitum. Praefationem una cum variis lectionibus, e praestantissimis MSS. codicibus Bibliothecae Leidensis descriptis, praemisit David Millius. Tom. I. Amstelodami: Sumptibus Societatis. MDCCXXV [1725]

გამოცემა წარმოადგენს ძველი ალთქმის ორტომეულის პირველ ტომს, ებრაული დედნის ბერძნულ თარგმანს, რომელიც მოიცავს ძველი ალთქმის წიგნებს შესაქმიდან ესთერის წიგნის ჩათვლით. ტექსტს ერთვის გამოცემლის, დევიდ მილიუსის წინასიტყვაობა ლათინურ ენაზე. წინასიტყვაობის შემდეგ გამოცემის თითოეული გვერდი ორ ნაწილად არის დაყოფილი. მარცხენა ნაწილში, მახვილთა დართვის გარეშე, წარმოდგენილია ბიბლიურ წიგნთა ბერძნული ტექსტების



ზოგიერთ მუხლთა მოკლე მონაკვეთები, რომელთა გასწვრივაც მოცემულია ლეიდენის ბიბლიოთეკის ძველი ხელნაწერებისა (შესაქმიდან მსაჯულთა წიგნის ჩათვლით) და ისააკ ვოსიუსის მიერ რომაული გამოცემის ველებზე ჩაწერილი (შესაქმიდან რუთის წიგნის ჩათვლით) ერთ-ერთი დაუზუსტებელი ხელნაწერის იკითხვისები. რაც შეეხება საკუთრივ ბიბლიის ტექსტს, იგი მხოლოდ ამის შემდეგ იწყება. როგორც ჩანს, დევიდ მილიუსი გულისხმობდა ძველი ალთქმის ტექსტის გარკვეული კრიტიკული რედაქციის გამოქვეყნებას.

ეს გამოცემა მილიუსის თანამედროვე მკვლევართა შორის მიჩნეული იყო “მეტად ზედმიწევნით გამოცემად”. კ.ჯ.





წიგნის სათაური: **Historiae Byzantinae Scriptores post Theophanem**

[“ბიზანტიის ისტორიის თეოფანეს შემდგომი ჟამთააღმწერელნი”]

გამომცემელი: **Franciscus Combefisius**

[ფრანცისკუს კომბეფისიუსი]

გამომცემლობა: **Typographia regia**

გამოცემის წელი: **1685**

Historiae Byzantinae Scriptores post Theophanem, partim nunc primum editi, partim recensiti, et nova versione adornati: quorum

Catalogum proxima pagina indicabit. Cura et studio R.P.Francisci Combefisii. Parisii: Typographia regia, MDCLXXXV [1685]

გამოცემა შეიცავს IX-X სს-ის ისტორიული შინაარსის თხზულებებს: კონსტანტინე VII პორფიროგენეტის მიერ მისი ბაბუის, იმპერატორ ბასილი I დიდის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, კონსტანტინე VII პორფიროგენეტის ანონიმი გამგრძელებლის *ქრონიკებს*, თეოფანე ჟამთააღმწერლის ანონიმი გამგრძელებლის *ექვსწიგნეულის რამდენიმე მონაკვეთს*, კერძოდ, *იმპერატორ ლეონ V-ის*, *იმპერატორ ლეონის ვაჟის*, *ალექსანდრე ბასილის ძის*, *კონსტანტინე ლეონის ძის*, *იმპერატორ რომანოს ლეკაპენუსის მეფობებს*. ამას გარდა, გამოცემაში დაცულია სხვა თხზულებებიც: *მართლმადიდებელთა ინვექტივა ხატთმებრძოლთა წინააღმდეგ*, იოანე იერუსალიმელის *გადმოცემა ხატთმებრძოლთა შესახებ*, იოანე კამინიატესის *თესალონიკის ალების შესახებ*, სვიმეონ მაგისტროსისა და ლოგოთეტესის *ანალები*, და გეორგიოს მონახოსის (ამარტოლის) *ქრონიკების ბოლო*, IV წიგნი, *ახალ იმპერატორთა ცხოვრებანი*.

წიგნის გამომცემელი, ფრანცისკ (ფრანსუა) კომბეფისი (1605-1679 წწ.), მეტად სახელგანთქმული ფრანგი მეცნიერი და გამომცემელი, იყო სამეცნიერო საზოგადოების გაერთიანებაში, რომელიც გამოსცემდა ბიზანტიისა და ზოგადად ძველი ისტორიის ბერძნულენოვან პირველწყაროთა დედნებს თანდართული პარალელური ლათინურენოვანი თარგმანებითურთ, რასაც მან ცხოვრების 50 წელი შეაღია. კომბეფისს დიდი გამოცდილება ჰქონდა ლათინურ ენაში, ფილოსოფიასა და თეოლოგიაში, რადგან ახალგაზრდობაში ბერად აღკვეცილი იგი 10 წლის განმავლობაში ასწავლიდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას, ამასთანავე, მსახურობდა მღვდლადაც. კომბეფისის გამოცემები გამოირჩევიან ტექსტის განსაკუთრებული ზედმიწევნითობით და სანდოობით. ვ.ჯ.





სათაური: **Georgii Acropolitae Magni Logothetae Historia, Ioelis Chronographia Compendiaria, et Ioannis Canani Narratio de Bello CP. Leone Allatio interprete, cum eiusdem notis et Theodori Douzae observationibus**

[გიორგიოს აკროპოლიტასის ისტორია, იოელის მოკლე მატთანე, იოანე კანანელის

გადმოცემა კონსტანტინოპოლის ომის შესახებ, ლეონ ალატიოსის განმარტებებით და მისივე და თეოდორუს დუზას შენიშვნებით]

გამომცემლობა: **Typographia Regia**

გამოცემის წელი: 1651

Georgii Acropolitae Magni Logothetae Historia, Ioelis Chronographia Compendiaria, et Ioannis Canani Narratio de Bello CP, Leone Allatio interprete, cum eiusdem notis et Theodori Douzae observationibus. Parisii: Typographia Regia, MDCLI [1651]

გამოცემაში დაცულია XIII ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსთა, იოელისა და გეორგიოს აკროპოლიტესის *მოკლე მატთანეები*. ამ უკანასკნელს ერთვის ლეონ ალატიუსის ისტორიული ხასიათის შენიშვნები. გამოცემას ასრულებს თავისი შინაარსით უნიკალური ნაშრომი, სახელ გეორგის მქონე პირთა და მათი თხზულებების შესახებ. ბიზანტიელ ისტორიკოსთან, იოელთან დაკავშირებული ცნობები შემორჩენილი არ არის. სამაგიეროდ, მეორე ისტორიკოსი, გეორგიოს აკროპოლიტესი (1217-1282 წწ.), იყო თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი და სანდო ისტორიკოსი. იგი მოღვაწეობდა იმპერატორების იოანე III დუკას, თეოდორე II ლასკარისისა და მიქაელ VIII პალეოლოგოსის სამეფო

კარზე, სადაც მას, დიდ ლოგოთეტესსა და იმპერატორის ელქს, სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებებს ანდობდნენ, როგორც იყო, მაგალითად, ლიონის მეორე კრებაზე ბერძნული და ლათინური ეკლესიების უნიის შეთანხმება.

განსახილველი ნაშრომი, რომელიც აკროპოლიტესის ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებაა, წარმოადგენს გარკვეულწილად ნიკეტას ზონიატესის მატთანის გაგრძელებას. იგი მოიცავს პერიოდს ჯვაროსანთა მიერ IV ლაშქრობისას კონსტანტინოპოლის დაპყრობის დროიდან (1204 წ.) მიქაელ VIII პალეოლოგოსის მიერ ბიზანტიის იმპერიის აღდგენამდე (1261 წ.). ნაშრომი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ დაწერილია თვითმხილველის მიერ, რომელსაც მისი თანამდებობის გათვალისწინებით, ხელი მიუწვდებოდა ყველაზე საიდუმლო და სახელმწიფო მნიშვნელობის ფაქტებზე.

ლეონ ალატიოსი (1586-1669 წწ.), რომელსაც აკროპოლიტესის ნაშრომისათვის შენიშვნები დაურთავს, მუშაობდა ბიბლიოთეკარად ფრანჩესკო ბერბინისთან, შემდეგ კი, ალექსანდრე VII-მ იგი დანიშნა ვატიკანის ბიბლიოთეკის თანამშრომლად (1661 წ.), სადაც ალატიოსი ცხოვრების დასასრულამდე მსახურობდა. ალატიოსს დაწერილი აქვს არაერთი ნაშრომი, რომლებშიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბერძნულ და რომაულ ეკლესიებს შორის მუდამ თანხმობა სუფევდა. ამასთან, ალატიოსი ქადაგებდა სრულ მორჩილებას რომის პაპის მიმართ იმ მიზეზით, რომ უცოდველი დედამიწაზე მხოლოდ ის იყო. მისი ნაშრომები მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, თუმცა ტენდენციური. ვ.ვ.





ამავე წიგნზე მიკინძულია მეორე გამოცემა: **Ducae Michaelis ducae nepotis Historia Byzantina res in imperio Graecorum gestas complectens: a Ioanne Palaeologo I. ad Mehemetem II. Accessit Chronicon Breve, quo Graecorum, Venetorum, & Turcorum aliquot gesta continentur. E Bibliotheca Regia nunc primum in lucem edita, versione Latina, & Notis illustrate. Studio & opera Ismaelis Bullialdi. Parisii: Typographia Regia, MDCXLIX [1649].**

გამოცემაში დაცულია მიხეილ დუკას *ბიზანტიის ისტორია*, რომელშიც აღწერილია კონსტანტინოპოლის დაცემა. ტექსტს დაერთვის ისმაელ ბულიალდუსის შენიშვნები მიხეილ დუკას ამ ნაშრომზე.

მიხეილ დუკას (1390-1462 წწ.) შესახებ მეტად მწირი ცნობებია შემორჩენილი. იგი ჯერ იყო გენუის დოჟის, როგორც პირადი მდივანი, შემდეგ კი ლესბოსის გენუელი მფლობელის სამსახურში. ამ უკანასკნელის საქმეებზე მას კონსტანტინოპოლის დაცემის პერიოდში, 1452-1456 წლებში, ხუთი ელჩობა ჰქონია სულთან მეჰმედ

II-ის რეზიდენციაში, რამდენჯერმე კი კონსტანტინოპოლშიც ჩასულა. მისი განსახილველი ნაშრომი მოიცავს 1341-1462 წლებს და აღწერს ავტორის მიერ უშუალოდ ნანახს, თვითმხილველებსა და მონაწილეებზე (მათ შორის, ბერძნებსა და თურქებზე), თურქულ, ბერძნულ და იტალიურ ენებზე შედგენილ საბუთებზე დაყრდნობით გადმოცემულ მოვლენებს. დუკა ითვლება ფრთხილ და სანდო ისტორიკოსად. უნდა ითქვას ისიც, რომ ალატიოსის მსგავსად იგიც ბერძნული და რომაული ეკლესიების უნიის მომხრე იყო და როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ იქნა ეს ორი წიგნი აკინძული ერთად.

დუკას *ბიზანტიის ისტორიას* დაერთვის ისმაელ ბულიალდუსის (1605-1694 წწ.) შენიშვნები. აღსანიშნავია, რომ ისმაელი ცნობილია, როგორც ასტრონომი, რომელსაც ასტრონომიისა და მათემატიკის სფეროში სერიოზული მიღწევები ჰქონდა და ამავე სფეროში გამოუქვეყნებია არაერთი ნაშრომი, რომელთა მნიშვნელოვანების გამოც 1667 წლის აპრილში იგი აირჩიეს ინგლისის სამეფო საზოგადოების ერთ-ერთ პირველ წევრად.

ეს ორი ერთად აკინძული წიგნის კრებული საინტერესოა არამხოლოდ იმ ნაშრომებით, რომლებიც მათშია დაცული, არამედ იმითაც, რომ პირველი წიგნი ეძღვნება ლუდოვიკო XIV-ს, მეორე კი კარდინალ მაზარინის. ვ.ჯ.



ავტორი: **Georgius Codinus** [გეორგიოს კოდინოსი]

წიგნის სათაური: ***Curopalata. De Officiis Magnae Ecclesiae, et Aulae Constantinopolitanae*** [“კუროპალატა. დიდი ეკლესიისა და კონსტანტინოპოლის სამეფო სასახლის მომსახურე პერსონალის შესახებ”]

გამომცემლობა: **Typographia Regia**

გამოცემის წელი: **1648**

Georgius Codinus. *Curopalata, De officiis magnae ecclesiae, et aulae Constantinopolitanae. Ex versione P. Iacobi Gretseri Soc. Iesu, cum eiusdem in Codinum commentarior. Libris tribus, & de imaginibus non manufactis opere. In hac editione praeter comparatum cum Regiis MMSS. Graecum textum, & reparatam Latinam versionem, accedunt inediti ex Regia & Mazarina Bibliotheca Officialium Catalogi, & ad Codini mentem locupletes notae. Adiunguntur recentiores Orientalium Episcopatum notitiae, voces honorariae, appellationes dignitatum indices, quibus postremis saeculis Ecclesiastici vel Aulici Proceres salutabantur. Cura & opera P. Jacobi Goar Paris. Ord. Praedic. Congreg. Reform. S. Ludovici. Parisii: Typographia Regia. MDCXLVIII [1648]*

ამ ფოლიანტში წარმოდგენილია ნაშრომი ეკლესიისა და სამეფო კარის თანამდებობის პირთა და სხვადასხვა შემთხვევებისათვის დაწესებული ცერემონიალების შესახებ. თხზულება მოღწეულია გეორგიოს კოდინოსის (XV ს.) სახელით, თუმცა კი იგი ერთი საუკუნით ადრე, დაახლოებით 1347-1368 წლებში არის დაწერილი. გამოცემას წინ უძღვის გამომცემელთა, იაკობ გრეცერისა და იაკობ გოარის წინასიტყვაობები. ნაშრომი დაყოფილია 22 თავად. მათში მოცემულია ეკლესიისა და სამეფო კარის თანამდებობის პირთა, მათ შორის, იმპერატორის, მისი მეუღლის, დიდი დომესტიკოსის, მთავარსარდლის, დაცვის უფროსისა და ა.შ. იერარქია,

ჩამონათვალი და მოვალეობათა აღწერა. მოცემულია ასევე, ცნობები მათი თავსაბურავებისა და სამოსელის შესახებ. ნაშრომში ყურადღება ეთმობა სამეფო კარის საერო და საეკლესიო დღესასწაულთა ჩატარების წესებს, მოთხრობილია იმპერატორის სუფრის, სამეფო კარზე ქორწინებისა და გლოვის წესების, იმპერატორის კორონაციის, პატრიარქის არჩევისა და ინავგურაციის შესახებ. თითოეული თავის შემდეგ, წიგნში წარმოდგენილია ტექსტთან დაკავშირებული საკმაოდ ვრცელი შენიშვნები.

თხზულებას მოსდევს იაკობ გრეცერის ორი ნაშრომი: სამწიგნეული, Iacobi Gretseri *In librum Georgii Codini Curopalatae Commentariorum libri tres*, რომელშიც განმარტებულია როგორც კოდინოსის თხზულება, ასევე, ბერძნულ და ლათინურ ენაზე დაწერილი სხვა ძეგლები, და მისივე *Syntagma de Imaginibus Manu non Factis, deque aliis a sancto Luca pictis*, რომელშიც ავტორი განიხილავს ღვთისმშობლის, ედესის, ვერონიკას/ბერენიკეს და სხვა ხელთუქმნელ, ნამდვილ და ნატყუარ ხატებს.


წიგნის ბოლოს გვხვდება ნაშრომი უმაღლეს საეკლესიო პირთა ცერემონიების შესახებ, სათაურით: *Notitiae Graecorum episcopatum a Leone Sapiente ad Andronicum Palaeologum*.

განსახილველი წიგნის პირველი გამოცემა განხორციელდა პარიზში, 1625 წელს, მომდევნო კი 1729 წელს, ვენეციაში.

გეორგიოს კოდინოსის (XV ს.) ბიზანტიის სამეფო კარზე კუროპალატის, სასახლის დაცვის უფროსის თანამდებობა ეკავა. მისი ცხოვრების შესახებ სხვა არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ მას, ზემოგანხილულის გარდა, მიეწერება კიდევ ორი სხვა თხზულება.

განსახილველი გამოცემა აღსანიშნავია იმიტაც, რომ მასზე მიკინძულია სხვა გამოცემაც: Anastasii Bibliothecarii *Historia Ecclesiastica sive Chronographia tripartita. Ex MS. Codice Bibliothecae Vaticanae. Parisii: Typographia Regia, 1649*. მასში შედის, აგრეთვე, ამავე ავტორის *Historia de Vitis Romanorum Pontificum*.

ამ ორივე მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორი ანასტასიოს ბილიოთეკარი (817-819 წწ.), იყო ანტიპაპა (855 წლის აგვისტოს-სექტემბერი), საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი და მთარგმნელი, ფოტიოსის ცნობილი მოწინააღმდეგე. მას მონაწილეობა მიუღია 869-870 წლების კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებაში. ვ.ჯ.



ავტორი: იოჰან ვოლფგანგ ფონ

გოეთე

სათაური: *Faust. Eine Tragödie*

[*ფაუსტი. ტრაგედია*]

გამომცემლობა: **I.G. Gotta'scher**

Verlag

გამოცემის წელი: 1854

Goethe. Faust. Eine Tragödie. Erster Teil. Zeichnungen von Engelbert Seibertz. Stuttgart und Tübingen: I.G. Gotta'scher Verlag, 1854

ფაუსტი იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. ამ თხზულების პირველი ნაწილის პირველი გამოცემა განხორციელდა 1806 წელს, მეორე ნაწილისა კი 1832 წ.

განსახილველი წიგნი წარმოადგენს *ფაუსტის* სრული ვერსიის გამოცემას, რომელიც ამასთანავე უხვად არის ილუსტრაციებით

დასურათებული. გამოცემა გაფორმებულია გერმანელი

პორტრეტისტის, ენგელბერტ

ზაიბერტცის მიერ (1813-1905),

რომლის ფუნჯსაც ეკუთვნის ასევე

არაერთი ისტორიულ მოვლენათა

ამსახველი ნახატიც. ზაიბერტცი

სწავლობდა დიუსელდორფის

ხელოვნების აკადემიაში, სადაც მისი

მასწავლებლები იყვნენ ლესინგი,

კორნელიუსი და ჰილდებრანდტი,

შემდეგ კი მიუნხენის ხელოვნების

აკადემიაში გააგრძელა სწავლა.

ზაიბერტცი იყო ლუდვიგ I-ის

კარის მხატვარი. მას უმუშავია

მაქსიმილიან II ბავარიელის

დავალებითაც და მრავალი ნახატითა

და ორი მონუმენტური ფრესკით დაუმშვენებია მიუნხენის სასახლე

მაქსიმილიანეუმი. რაც შეეხება *ფაუსტის* დასურათებას, ამაზე

ზაიბერტცი მუშაობდა 6 წლის განმავლობაში, 1835-1841 წლებში.

ლ.კ., ნ.ჩ., ვ.ჯ.





სათაური: **Обзоръ Царствованія Султана Махмуда Газневійскаго изъ дома Сябуктегина въ Персіи**
გამოცემის წელი: [1851]

Обзоръ Царствованія Султана Махмуда Газневійскаго изъ дома Сябуктегина въ Персіи. 1851

განსახილველი წიგნად აკინძული და წიგნის ფორმის ხელნაწერი (148 გვ.), სავარაუდოდ, დისერტაციას უნდა წარმოადგენდეს. მას არ აქვს მითითებული ავტორის სახელი. წიგნს ბოლოში დაერთვის სამი ხელმოწერა, რომელთა ავტორებიც გასცნობიან ტექსტს (“читал”) და ხელმოწერით ადასტურებენ ამას. ხელმოწერათაგან იკითხება პირველი ხელმომწერის გვარი და წოდება (Проф. А. Казембек) და მეორე ხელმომწერის “შეიხის” წოდება. სატიტულო ფურცელზე მოცემულია თარიღი, 1851 წლის 14 დეკემბერი, როგორც ჩანს, დღე, როდესაც დისერტაციის დაცვა მოხდა. ხელნაწერს ეპიგრაფად უძღვის პლინიუსის ცნობილი სიტყვები: “ისტორია არ უნდა გადაცდეს ჭეშმარიტებას” (“*Historia non debet egredi veritatem*”).

სათაურის მომდევნო გვერდზევე ხელნაწერში მოცემულია დისერტაციის წყაროებად გამოყენებული რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 1697-1849 წლებში დაბეჭდილ წიგნთა და ერთი ხელნაწერის, *История Мирхонда*-ს ტ. IV, ჩამონათვალი (“Источники”).

საკუთრივ ტექსტი დაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილში, რომელსაც ავტორი შესავალს უწოდებს (“Введение”, 3-30 გვ.),

გადმოცემულია დაზნევის სახლის ძალაუფლების სწრაფი გავრცელებისა და სულთან მაჰმუდის ცხოვრების შესახებ, ხოლო ამა თუ იმ მოვლენის წლები მითითებულია ხელნაწერის ამიებზე. გამოკვლევას ერთვის სქოლიოები რუსულ-სპარსული ციტირებებით.

წიგნის მეორე ნაწილში (31-117 გვ.) წარმოდგენილია ამონარიდი სულთან მაჰმუდ დაზნევის მეფობის მირხონდისეული აღწერილობიდან (“Извлеченіе изъ Мирхондова описанія царствованія Султана Махмуда Газневійскаго”), რომლის 12 თავად ჩაწერილი ტექსტიც, ავტორის განცხადებით, მიჰყვება პროფ. კაზემბეკის ხელნაწერს. წიგნის ეს მონაკვეთი ორ ნაწილად არის დაყოფილი და წარმოადგენს “ემინ-ედდეველე მაჰმუდ სუბუკტეგინის ძის მეფობის ისტორიის” (“Исторія царствованія Емин-Еддевле Махмуда, сына Сябуктегина”) სპარსულ ტექსტს და მის პარალელურ რუსულ თარგმანს, რომელშიც მითითებულია ტექსტის იკითხვისეები და სქოლიოები. ამ მონაკვეთში გადმოცემულია სულთან მაჰმუდის გამგზავრება მულთანში, მასთან ილიკ ხანის ბრძოლა და ამ უკანასკნელის გაქცევა, ბეგიმ-ბეგზას ციხე-სიმაგრისკენ გამგზავრება, ბრძოლა გურიდებთან, გამარჯვება ინდოეთზე, ხორეზმის შაჰის, მამუნის დინასტიის დასრულება, სუმნატსა და რეიზე გალაშქრება, დედაქალაქში დაბრუნება და გარდაცვალება.

თარგმანის VII თავში საუბარია გურჯისტანის მბრძანებელთა შესახებ, რომელთაც, ავტორის თანახმად, ამ ქვეყანაში შარებს უწოდებდნენ (გვ. 67). გურჯისტანის სახელით ნახსენებ ამ ქვეყანაში საქართველო არ იგულისხმება. ამ მხარის მმართველად ავტორი ასახელებს აბუ ნასრს, რომელიც იყო ბალხეთის (ბაქტრიის) ემირი.

წიგნის მესამე ნაწილი (118-148 გვ.), ასევე 12 თავად დაყოფილი, ეთმობა ტექსტიდან გამომდინარე ცალკეულ განსხვავებებსა და შენიშვნებს (“Разногласія и примечанія”). გ.ჯ.